ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 392

"10" ოქტომბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ: 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ: 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის #36.19.696 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა #37ა-ში, ვერის პარკში (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.089.) შენობა-ნაგებობა №1-ში მდებარე სარდაფის - ფართით 89.75 კვ.მ. I სართულზე - 1471.5 კვ.მ. ფართიდან 479.85 კვ.მ. ფართის, II სართულზე - 1322.32 კვ.მ. ფართის, III სართულზე - 1787.07 კვ.მ. ფართის, IV სართულზე - 307.8 კვ.მ. ფართის, IV - სართულზე ღია ტერასაზე - 1047.14 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ: 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება ვასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.,№6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი